გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები	-	171
სხვა ხარჯები	-	(18)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	-	1,101
გადახდილი პროცენტები	-	(369)
საბიუჯეტო გადასახადებები	-	(1,225)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(493)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/კაპიტალიზება	-	(1,368)
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	(3,687)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,055)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი		(1,800)
გაცემული სესხი		-
მიღებული სესხები		3,241
კაპიტალის ცვლილება		515
სესხის დაფარვა		(610)
მიღებული პროცენტები		24
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		1,370
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა		(4,178)
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შედეგი		(200)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა		(4,378)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	-	6,391
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:	-	2,013

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად გეულის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 მარტს.

პრეზიდენტი: ლაშა კანდელაკიშვილი

ფინანსური სამსახურის უფროსი: ელენე ჯიქია



გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი ოპერაციები:

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში „ჯგუფი“) მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (მსს ფასს) გადასვლაში დასახმარებლად.

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ დაფუძნდა 1999 წლის 27 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. N 76. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 2/4-2317 და საიდენტიფიკაციო კოდი: 201 954 956.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი, კომპანიის დირექტორი ლაშა კანდელაკიშვილი (პ/ნ 40001006991).

კომპანია შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

ა) შპს „ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 2017 წლის 16 მარტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის ქ., N 17. საიდენტიფიკაციო კოდი: 400199469, კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელია შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

ბ) შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 1996 წლის 10 სექტემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ., N 13. საიდენტიფიკაციო კოდი: 212 677 094.

2018 წლის 02 ნოემბერს (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18189307) კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელი გახდა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

კომპანიის მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს შპს „ამერიკის ბიზნესის აკადემია“ საიდენტიფიკაციო კოდი: 206 036 083, რომელიც დაფუძნდა 1999 წლის 01 სექტემბერს და რომლის 20%-ნი წილის მფლობელს წარმოადგენს შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

(ა) „ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობა: შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს ორი (ბაკალავრი და მაგისტრატურა) საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

შპს „ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი“, არის მესამე კატეგორიის საწარმო, რომელიც იჯარით გასცემს ფართს დედა „კომპანიას“.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

(ბ) „ჯგუფის“ სამუშაო გარემო: „ჯგუფი“ საქმიანობას ძირითადად საქართველოში ეწევა, საქართველო განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით გამოწვეული ცვლილებები ხელს უწყობს საქართველოში მომუშავე კომპანიებსა და სულ უფრო ინვესტიცია მომზიდველს ხდის ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის მსს ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება 35-ე განყოფილებას მსს ფასს-ზე გადასვლის პირველადი ადაპტაციის მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონცეფციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება):

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგებების სრულ ნაკრებს.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გ) კონსოლიდაციის საფუძველი

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შვილობილი კომპანია ეწოდება იმ საწარმოს, სადაც დედა კომპანიას გააჩნია საარჩევნო ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფუნანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის ელიმინირდება მთლიანად.

კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

შვილობილი კომპანიის შეძენის აღსაღრიცხავად გამოიყენება შეძენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება):

რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელს.

მეკავშირე კომპანია, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

დ) ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში და მეკავშირე საწარმოებში კომპანიის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში

კომპანია შვილობილ კომპანიაში და მეკავშირე საწარმოში ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადახდილი, ან გადასახდელი თანხის ოდენობას. კომპანია შვილობილ კომპანიისგან და მეკავშირე საწარმოსგან მიღებულ დივიდენდს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღიარებს ამ დივიდენდის გამოცხადებისას.

(ე) სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც ჯგუფის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

(ვ) მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში ოპერაციებისა და მოვლენების მსგავსების მოთხოვნების დაცვით აღრიცხვა ხშირად საჭიროებს მსჯელობას, მათ შორის შეფასებების გაკეთებას. ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობის

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება):

მნიშვნელოვანი მსჯელობებისა და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასებისას.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

(ზ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულადი მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან“. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსები:	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2,6766	3,0701
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2,5345	2,9913

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

სასარგებლო მომსახურების ვადები გაწერილია შემდეგნაირად:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა - ნაგებობები	5-დან 10 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-დან 5 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 5 წლამდე

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსვავებულია, საწარმომ უნდა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ ანიჭებს ამონაგების კლასიფიკაციას.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს და შენობა-ნაგებობას, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღებას ან კაპიტალის შეფასებას და არ არის გამოყენებული ჯგუფის მიერ, ასევე არ ხდება მისი გაყიდვა ბიზნესის საწარმოო ციკლში. საკუთრება, რომელიც შენდება მომავალი მოხმარებისთვის, კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით. საინვესტიციო ქონების მომსახურების ვადა განსაზღვრულია 20 წლით.

შვილობილი კომპანიის შპს „ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი“-ს საინვესტიციო ქონება შედგება მიწისა და შენობა-ნაგებობისგან, რომელიც გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბალანსო ღირებულებით 3,333 ათასი ლარით არის წარმოდგენილი.

საანგარიშგებო წლის პერიოდში მოხდა ხარჯების კაპიტალიზება 522 ათასი ლარის ოდენობით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით და შეადგენს 3,662 ათას ლარს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

ა) სესხები და მოთხოვნები

სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, ხოლო შეფასება თავდაპირველი აღიარებისას ხდება გარიგების ფასით (თუ გარიგება ხდება საბაზრო პირობებით), მოიცავს გარიგების დანახარჯებს (აქტივებს ემატება და ვალდებულებებს აკლდება), გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შემდგომ შეფასებული იქნება რეალური ღირებულებით და დღევანდელი ღირებულებით (დისკონტირდება საბაზრო განაკვეთით), თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას. გაუფასურება გამოიყენება მხოლოდ თვითღირებულებით, ან რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის. გაუფასურების ტესტირება უნდა ჩატარდეს თუ არსებობს გაუფასურების რაიმე ნიშანი.

საანგარიშგებო თარიღისთვის უნდა მოიძებნოს მტიკიცებულება, რომ რეალური ღირებულება საბალანსოზე ნაკლებია: სტუდენტების მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელები, გადაუხდელობა ან ვადაგადაცილება, ფასდათმობები.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით, რომელიც მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების შეფასება:

- სხვა საწარმოზე გაცემული გრძელვადიანი სესხი-მისაღები ფულადი სახსრების (ძირი და პროცენტი) დღევანდელი ღირებულებით;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

- სავალო ინსტრუმენტები-ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით;
- წილობრივი ინსტრუმენტები - რეალური ღირებულებით თუ ივაჭრება საჯაროდ, ან რეალური ღირებულება შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ მიზანშეუწონელი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე;
- ყველა სხვა ინსტრუმენტი-თვითღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება სხვა მხარეზე;
- საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე. ასეთ დროს შეწყვეტს ძველი აქტივის აღიარებას და ცალ-

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცალკე აღიარებს ყველა უფლებას და ვალდებულებას, რომელიც მას რჩება, ან წარმოიშობა აქტივის გადაცემისას.

- იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ხდება საბუღალტრო ჩანაწერებში გადაცემული აქტივის შენარჩუნება, ხოლო მიღებული ანაზრაურება აღიარდება ფინანსურ ვალდებულებად.

ჯგუფი არ ახდენს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას.

ii).ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება და შეფასება:

- ბანკიდან აღებული სესხი-გადასახდელი ფულადი სახსრების (ძირი და პროცენტი) დღევანდელი ღირებულებით;
- მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში- ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასით;
- ფინანსური ვალდებულება, რომელიც სრულად გადასახდელია მოთხოვნისთანავე (მაგ. არ არის განსაზღვრული დაფარვის თარიღი) - მოთხოვნისთანავე გადასახდელი სრული პდენობით, დისკონტირების გარეშე.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს მოთხოვნებიდან და მიწოდებიდან, გრძელვადიან და მიმდინარე სასესხო ვალდებულებებს.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლების, ან ცვლილების დროს მოხდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანულისრება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო მოგებაში ან ზარალში აღიარდება დაფარული, ან სხვა მხარისთვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის სხვაობა.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც აკლდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულია თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სტუდენტებთან გაფორმებული სახელშეკრულებო ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და ჯგუფის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან.

საბანკო სესხების და ოვერდრაფტების დროს, საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

საწესდებო კაპიტალი

არსებობს ცნებები, როგორიცაა:

- „გაცხადებული საწესდებო კაპიტალი“;
- „საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანები“-ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსებამდე საჭირო შენატანების მოცულობა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მაგრამ არსებითია ის, რომ სამეწარმეო კორპორატიული სამართალი ცნობს გაცხადებულ, ანუ დათქმულ საწესდებო კაპიტალს, რომელსაც დამფუძნებლები განსაზღვრავენ. ამ გაცხადებული, ანუ დათქმული საწესდებო კაპიტალის შევსება შესაძლებელია როგორც მყისიერად, ისე პერმანენტულად. ამიტომაც არის ცნება „ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანები“. ამ დროს, სანამ არ იქნება შევსებული საწესდებო კაპიტალი დათქმულ ნიშნულამდე, ანუ გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობამდე, შეზღუდული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სამეწარმეო სუბიექტები (შპს, სს) კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ შევსებული კაპიტალის ოდენობითა და დამფუძნებელ-პარტნიორები კი საწესდებო კაპიტალში ჯერ კიდევ შეუტანელი შენატანების მოცულობით.

დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებოდა წლის მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებული იყო იმავე, ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რასაც პირი უხდიდა საგადასახადო ორგანოებს, ან იღებდა მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება, ან ზარალი განისაზღვრებოდა პროგნოზით, თუ ფინანსური ანგარიშგება მტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენამდე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობების აღრიცხვის მიზნით, გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლებოდა საბალანსო ვალდებულებათა მეთოდით. საწყისი აღიარების გამოწვევის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები საწარმოთა გაერთიანებისგან განსხვავებულ ტრანზაქციაში აქტივის, ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას დროებით სხვაობებზე არ აღიარდებოდა, თუ ეს ტრანზაქცია, საწყისი აღიარებისას, არ მოქმედებდა არც ბუღალტრულ და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული გადასახადის ნაშთები აისახებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოქმედი, ან არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როცა უნდა მომხდარიყო დროებითი სხვაობების გაუქმება და გადატანილი საგადასახადო ზარალის ათვისება.

გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისა და გადატანილი საგადასახადო ზარალით წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სავარაუდო იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში გაუქმდებოდა და იარსებებდა საკმარისი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლებოდა გამოქვითვების გამოყენება.

გადატანილი საგადასახადო აქტივი და ვალდებულებები ურთიერთჩაითვლებოდა, როდესაც არსებობდა სამართლებრივად აღსრულებადი უფლება, პირს მიმდინარე საგადასახადო აქტივი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებიდან გამოექცია, ხოლო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულებები დაკავშირებული იყო ისეთ მოგების გადასახადთან, რომელსაც არიცხავდა ერთი და იგივე საგადასახადო ორგანო ერთსა და იმავე დასაბეგრ ერთეულს, ან სხვადასხვა დასაბეგრ ერთეულებს, თუ არსებობდა განზრახვა, რომ მომხდარიყო ურთიერთჩათვლა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ადარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებაზე, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-ნი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0,85-ზე). მიღებული მოგებიდან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით აგროსილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ გამოუყენებია საგადასახადო ჩათვლა, ვინაიდან 2017 წელს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები განაწილდა 2017 წლის მიღებული მოგებიდან.

დივიდენდების განაწილებით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა გადახდის დღის ან პერიოდის მიუხედავად. შედეგად, კომპანიამ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგებაში და ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობოდა დივიდენდების გადახდის შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული არ არის.

გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი აგრეთვე ერიცხება ხარჯებს, ან სხვა გადახდებს, რომლებიც გაწეულია არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, აქტივების მიწოდებას, ან მომსახურების გაწევას, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აქარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. დაუყოვნებლივ იბეგრება ისეთ იურისდიქციებში მოქმედ პირებზე გადახდილი ავანსები, სადაც პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს, და ამგვარ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ასევე ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრეფერენციულ საგადასახადო გარემოში რეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებსა თუ მომსახურებაზე მისაღები საგადასახადო ფასდაკლებების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება, ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების, ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის, ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და კოდექსით დადაგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოგების გადასახადი 334 ათასი ლარი, წარმოადგენს დედა კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდის განაწილებით გამოწვეულ გადასახდელ მოგების გადასახადს.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ჯგუფი შემოსავლების და ხარჯის აღიარებას ახდენს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. ჯგუფმა დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

ყველა სხვა საზღაური, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი, როგორც წესი, აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, გარკვეული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც დგინდება მთლიანი განსახორციელებელი მომსახურების ფაქტობრივად განხორციელებული ნაწილის გათვალისწინებით.

ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს მოცემული საანგარიშო წლისთვის არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

4. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან მსს ფასს-ზე გადასვლა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის. მსს ფასს-ზე გადასვლამდე ჯგუფი ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

35-ე განყოფილება მსს ფასს-ზე გადასვლა მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამონაკლისს. აღნიშნული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისები.

მსს ფასს-ზე ჯგუფის გადასვლის თარიღია 01 იანვარი 2018 წელი.

5. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

ჯგუფი აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

ჯგუფი დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

5. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები (გაგრძელება)

აქტივების გაუფასურება და რეზერვების აღრიცხვა. თითოეულ საანგარიშო დღეს ჯგუფი აფასებს, ხომ არ არის იმის ნიშნები, რომ ჯგუფის აქტივების აღდგენადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას ჩამოუვარდება.

ჯგუფი საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს სტუდენტების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი ვადაგადაცილებული დღეებიდან გამომდინარე პროცენტულად.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

6. ძირითადი საშუალებები

Cost	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე ინვენტარი	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	საბიბლიოთეკ ო ფონდი	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	820	3 038	83	569	275	98	15	64	4 962
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	753	32	314	166	-	265	-	53	1 583
შეიღობილის აქტივები საბ. ღირ.	37	570	-	179	30	-	-	62	878
დასაშვები საწყისი ღირებულება	740	3 180	-	-	-	-	-	-	3 920
ცვეთის ელიმინაცია	-	(84)	-	-	-	-	-	-	(84)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 350	6 736	397	914	305	363	15	179	11 259
ცვეთა და გაუფასურება									
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(330)	(14)	(70)	(80)	(20)	(4)	-	(518)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(366)	(57)	(167)	(67)	(34)	(4)	-	(695)
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	2	-	-	2
კორექტირება	-	84	-	-	-	-	-	-	84
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(612)	(71)	(237)	(147)	(52)	(8)	-	(1 127)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	820	2 708	69	499	195	78	11	64	4,444
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 350	6 124	326	677	158	311	7	179	10 132

- ❖ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით (მიწა-1,573 ლარი და შენობა-ნაგებობები-2,435 ლარი), წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას სს „თიბისი ბანკი“-ს სასარგებლოდ.
- ❖ დედა კომპანიას 2018 წლის 21 სექტემბერს ავტო ლიზინგის ხელშეკრულებით შეძენილი აქვს ავტო მანქანა, რომელიც გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ იქნა რეალურ ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ამასთან, ეკვივალენტური თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება.
- ❖ ჯგუფის საკუთრებაში არსებულ არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა, ელექტრონული WEB გვერდი და ავტორიზაცია-აკრედიტაცია.

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების დასაშვები საწყისი ღირებულების შედეგი

ჯგუფმა ისარგებლა შეღავათით 35-ე განყოფილების 10 (გ) პუნქტის საფუძველზე და განსაზღვრა ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება მსს ფასს-ზე გადასვლის დღისთვის და მისგან მიღებული შედეგი აღიარა მიმდინარე პერიოდის მოგებაში და ზარალში. ამისთვის კომპანიამ მოიწვია გარე შემფასებელი.

- ❖ გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაშვები საწყისი ღირებულების შედეგით გამოწვეულმა არასაოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 3,920 ათასი ლარი.

7. ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

	წილი %	ფულადი ერთეული-ათასი ლარი 31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
შპს „ამერიკის ბიზნესის აკადემია“	20%	231	231
სულ:		231	231

8. მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი 31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	765	747
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	(279)	-
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	9	20
საერთო ჯამში:	495	767

2018 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2018 წლის 12 დეკემბერს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ მიიღო შპს „ევროპის უნივერსიტეტი“-სგან სესხი 50 ათასი ლარის ოდენობით. სესხის მიღება მოხდა ოთხ ტრანშად 11 % წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს.

8. მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან (გაგრძელება)

1991 16 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტსა“ (რესტორი ვარლამ ნესტორის ძე ქელბაქიანი) და ქუთაისის განათლების სამმართველოს (უფროსი გოჩა ბუზუტის ძე გოქაძე) შორის გაფორმდა ხელშეკრულება შემდეგზე: „ინსტიტუტი კისრულობს ვალდებულებას სამმართველოსთვის ადმინისტრაციული შენობის ასაგებად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ქუთაისში, წერეთლის ქ. N13-ში, საკუთარი სახსრებით გააგრძელოს დამტკიცებული პროექტის შესაბამისად დაწყებული მშენებლობა და დაასრულოს იგი.

სამმართველო კისრულობს ვალდებულებას ინსტიტუტს გადასცეს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ყველა დამხმარე ნაგებობით და დაწყებული მშენებლობით, აგრეთვე პროექტი, ნებართვა და ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია თუ ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული მშენებლობის წარმოებასთან.

ინსტიტუტი ვალდებულია შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ სამმართველოს გადასცეს საკუთრად ექვსი ოთახი შეთანხმების შესაბამისად.

ქ. ქუთაისის გამგეობის 1992 წლის 25 მარტის N4/51-136 გადაწყვეტილებით მშენებლობის დამთავრებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ ინსტიტუტი სამმართველოს გადასცემს შენობის ნაწილს, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი“ ბაზაზე რომელიც დაარსებულია საქართველოს განათლების სამინისტროს 1991 წლის 08 ოქტომბრის ლიცენზიით, საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით შეიქმნა შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი“ (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 1996 წლის 10 სექტემბერი, სასამართლოს დადგენილების N12/4-362, საიდენტიფიკაციო N212677094)

ვინაიდან შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი“ ს/N212677094 შექმნილია „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტის“ ბაზაზე, იგი 1991 წლის 16 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტსა“ (რესტორი ვარლამ ნესტორის ძე ქელბაქიანი) და ქუთაისის განათლების სამმართველოს (უფროსი გოჩა ბუზუტის ძე გოქაძე) შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოდის უფლებამონაცლე და შესაბამისად ეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულება.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტს“ (ყოფილი შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტსა“) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში (ექსპლუატაციაში მიღების აქტი N21, 10/02/2005 სახელმწიფო

მიმღები კომისია) არ მოუხდენია 1991 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

2018 წლის 01 იანვრამდე არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული და ასახული არ ყოფილა აღნიშნული ერთის მხრივ აქტივი, ხოლო მეორეს მხრივ ვალდებულები.

2018 წლის 02 ნოემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ევროპის უნივერსიტეტმა (ს N201954956) შეიძინა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ 100% წილი - ლელა ქელბაქიანისგან (პ N 60002013527) - 50% ; ლაშა ლალიძისგან (პ N 60002000479)- 50%;

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ - 50% წილის მფლობელმა ლელა ქელბაქიანმა (პ N 60002013527) ივალდებულა 1991 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

აუდიტის მიმდინარეობის ეტაპზე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასდა ქუთაისის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, საიდანაც განიზაღვრა 6 ოთახის (საშუალოდ 100 კვ.მ ფართი) რეალური ღირებულება 139 ათას ლარად. შესაბამისად განათლების სამინისტროს მიმართ არსებული ვალდებულებების რეალური ღირებულება შეფასებული იქნა ღირებულება 139 ათას ლარად. ამავდროულად ამავე ღირებულებით წარმოიქმნა მოთხოვნა ლელა ქელბაქიანის მიმართ.

2018 წლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული და ასახულია აღნიშნული ერთის მხრივ როგორც აქტივი (სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების მუხლში), ხოლო მეორეს მხრივ ვალდებულები. (სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების მუხლში)

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	144	20
ფულადი სახსრები ბანკში დოლარში	1,808	4,975
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	61	1,396
საერთო ჯამში:	2,013	6,391

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი				
	დასრულების თარიღი	ვალუტა	გრძელვადიანი/მოკლევადიანი	
			31.12.2018	01.01.2018
სს „თიბისი ბანკი“	12/04/2024	USD	2,803	3,048
სს „თიბისი ბანკი“	04/03/2025	USD	2,288	2,494
სს „თიბისი ბანკი“	04/11/2023	USD	3,212	-
სულ სასესხო ვალდებულება			8,303	5,542

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2018
სს თიბისი ბანკი N 3818196-8244861	6%	12/04/2024	USD	1,047
სს თიბისი ბანკი N 3818196-8841307	6%	04/03/2025	USD	854
სს თიბისი ბანკი N 3818196-10180759	6%	04/11/2023	USD	1,200
				3,101 USD

კრედიტის მიზნობრიობაა ძირითადი საშუალებების ფინანსირება და სხვა ბანკის ვალდებულებების რეფინანსირება.

11. ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან

			ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
			31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები			250	98
ავანსად გადახდილი სახელფასო ვალდებულებები			(44)	-
სულ დავალიანება:			206	98

გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელ ვალდებულებებში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

2018 წლის ბოლოსთვის ვალდებულებების მატება დედა კომპანიის გამოწვეულია სალიზინგო ხელშეკრულებით წარმოქმნილი ვალდებულებისგან.

ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული ავანსები (გამომუშავებული შემოსავალი - წინასწარ ანაზღაურებული სწავლის საფასური)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ერიცხება ავანსად მიღებული თანხები 4,675 ათასი ლარი, რომელიც ბალანსის მიღებული ავანსის მუხლში არის წარმოდგენილი. წინასწარგადახდები გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100 % წარმოადგენს სტუდენტებისგან მიღებულ ავანსებს.

12. საბიუჯეტო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულ საბიუჯეტო ვალდებულებაში, რომელიც შეადგენს 216 ათას ლარს, 116 ათას ლარს წარმოადგენს დედა კომპანიის დივიდენდის განაწილებიდან გადასახდელი მოგების გადასახადს.

13. სტუდენტების მომსახურებიდან მიღებული თანხები

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

31 დეკემბერი 2018

სწავლის საფასური	(10,307)
მაგისტრატურა	(17)
კურსდამთავრებულთა დიპლონის თანხა	(14)
ენის შესწავლის დაჩქარებული კურსი	(8)
სხვა შემოსავალი	(7)
სულ შემოსავალი	(10,353)

➤ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

31 დეკემბერი 2018

ინგლისურენოვანი პერსონალის ანაზღაურება	1,031
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალთა ანაზღაურება	283
ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პერსონალთა ანაზღაურება	212
ინდოელთა სწავლებაზე დასაქმებულ პერსონალთა ანაზღაურება	135
სტომატოლოგიური ფაკულტეტის დასაქმებულ პერსონალთა ანაზღაურება	104
აფილაცია მედიცინა	94
აფილაცია	58
მაგისტრატურის ფაკულტეტის დასაქმებულ პერსონალთა ანაზღაურება	35
ქართული და ინგლისური ენის შემსწავლელ კურსზე დასაქმებულთა ანაზღაურება	30
ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დასაქმებულ პერსონალთა ანაზღაურება	12
სხვადასხვა პერსონალთა ანაზღაურება	22
სულ	2,016

14. ადმინისტრაციული ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

ადმინისტრაციული ხარჯები	Consolidated
გრანტის ხარჯები	9,00
დაზღვევის ხარჯი	13,00
თვითმმართველობის ღონისძიებების ფარგლებში გაწეული ხარჯები	3,00
კომპიუტერის ხარჯი	7,00
კომუნალური ხარჯი	155,00
კომუნიკაციის ხარჯი	1,00
მივლინების ხარჯი	138,00
ოფისის ხარჯი	41,00
ჟურნალის გამოშვების ხარჯი	11,00
რეკლამის ხარჯი	95,00
რემონტის ხარჯი	36,00
საკანცელარიო საქონლის ხარჯი	94,00
საკანცელარიო ხარჯი	1,00
სამეურნეო ხარჯი	43,00
სანიტარულ-ჰიგიენური ხარჯი	49,00
საწვავის ხარჯი	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	126,00
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	52,00
შრომის ანაზღაურების ხარჯი	2 127,00
წარმომადგენლობითი ხარჯი	107,00
	3 112,00

15. საოპერაციო ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
საოპერაციო ხარჯი	Consolidated
დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების ხარჯი	-
დებიტორული დავალიანებების ანარიცხები	235,00
კონფერენციასთან დაკავშირებული ხარჯები	4,00
ლაბორატორიის სახარჯი მასალები და ინვენტარი	6,00
ლიცენზიები და სხვა მოსაკრებელი	13,00
მცირეფასიანი ინვენტარი სპორტული აქტივობისთვის	5,00
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	4,00
საიჯარო ხარჯი	12,00
საკონსულტაციო ხარჯები	82,00
სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერა	5,00
საშუამავლო მომსახურება (სტუდენტების მოზიდვა-ორგანიზება)	711,00
სტიპენდია	26,00
სტომატოლოგიური კაბინეტის და მედ. პუნქტის სახარჯი მასალები და ინვენტარი	10,00
სტუდენტების პროფესიული პრაქტიკის ხარჯი	4,00
სტუდენტური ღონისძიებების და თვითმართველობის ხარჯები	4,00
სხვა განაცემები სტუდენტებზე, ლექტორებზე, მოწვეულ სტუმრებზე	10,00
სხვა საგადასახადო ხარჯი	38,00
სხვა საოპერაციო ხარჯი	71,00
სხვადასხვა სტუდენტური აქტივობა	12,00
ფასდათმობა/დავალიანების ჩამოწერა	21,00
ქონების გადასახადის ხარჯი	52,00
შიდა გრანტი	2,00
ცვეთა და ამორტიზაცია	797,00
ძირითადი საშუალებების და ა/მ ექსპლუატაციის ხარჯი	-
წიგნების ჩუქება	-
	2 125,00

16. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფულადი ერთეული-ათასი ლარი	
31 დეკემბერი 2018	
ფინანსური შემოსავალი	
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი	(383)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე	(22)
სულ ფინანსური შემოსავალი:	(405)
 ფინანსური ხარჯი	
31 დეკემბერი 2018	
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ხარჯი	(668)
საპროცენტო ხარჯი	(379)
ავტო-ლიზინგის საპროცენტო ხარჯი	(18)
საბანკო ხარჯი	(14)
სულ ფინანსური ხარჯი:	(1,079)

17. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს მიწოდებიდან და მომსახურებიდან და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

31 დეკემბერი 2018

ფინანსური აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,013
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	495

სულ ფინანსური აქტივები	2,508
-------------------------------	--------------

ფინანსური ვალდებულებები

ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	206
სასესხო ვალდებულება	8,303

სულ ფინანსური ვალდებულებები	8,509
------------------------------------	--------------

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფს თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა დებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების, ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

➤ საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

➤ სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც ჯგუფი აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი). უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი ერთეული-ათასი ლარი

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	205	1,808	-	2,013
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	495	-	-	331
სულ ფინანსური აქტივები	700	1,808	-	2,508
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	206	-	-	206
სასესხო ვალდებულება	-	8,303	-	8,303
სულ ფინანსური ვალდებულებები	206	8,303	-	8,509

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფს ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაცია

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, რომელში შესვლაც არდაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ, და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებით და მოცულობებით როგორც არდაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა დაკავშირებულ მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმება ის პირები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. კომპენსაცია მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (რომლებიც განსაზღვრულია 28-ე განყოფილებით - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურებას, რომელიც გადახდილია, გადასახდელია ან უზრუნველყოფილია საწარმოს მიერ, ან მისი სახელით (მაგალითად, მშობელი საწარმოს, ან აქციონერის მიერ), საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოიცავს ისეთი სახის ანაზღაურებასაც, რომელიც გადაიხდება მოცემული საწარმოს მშობელი საწარმოს სახელით, საწარმოსთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფულადი ერთეული-ქართული ლარი

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	31 დეკემბერი 2018
შრომის ანაზღაურება	64

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	31 დეკემბერი 2018
შრომის ანაზღაურება	659

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად.

2018 წლის 12 დეკემბერს შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა გააფორმა სესხის ხელშეკრულება შპს „ევროპის უნივერსიტეტთან“ (დაკავშირებული მხარე) წლიური 11%-ის გადახდის პირობით. ეროვნული ბანკის ინფორმაციით სესხის გაცემის მომენტში სესხზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ფიქსირდება 10,9%. დაკავშირებულ მხარესთან ოპერაცია განხორციელდა იმ გარიგებათა პირობების ანალოგიურად, რომელსაც „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპი ითვალისწინებს.

შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ გაფორმებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება შპს „ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტთან“, რომლის წლიურმა ხარჯმა შეადგინა 66 ათასი ლარი.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2020 წლის 10 მარტს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

მმართველობითი ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (ს/კ 201 954 956) (შემდგომში „ჯგუფი“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., N 76, კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 2/4-2317 და საიდენტიფიკაციო კოდი: 201 954 956.

1. ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა:

ჯგუფი ახორციელებს ორი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს. ჯგუფში შედის ორი შვილობილი კომპანია:

ა) შპს „ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 2017 წლის 16 მარტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის ქ., N 17. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 199 469, კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელია შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

ბ) შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 1996 წლის 10 სექტემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ., N 13. საიდენტიფიკაციო კოდი: 212 677 094.

2018 წლის 02 ნოემბერს (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18189307) კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელი გახდა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი, კომპანიის დირექტორი ლაშა კანდელაკიშვილი (პ/ნ 40001006991).

2. კომპანიის განვითარების გეგმები:

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები: 1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება; 2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება; 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა; 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება; 5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება; 6. უნივერსიტეტის რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურობის ამაღლება.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას არ გააჩნია სამეცნიერო კვლევები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი

რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „ჯგუფი“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „ჯგუფზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „ჯგუფის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „ჯგუფის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

„ჯგუფის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „ჯგუფის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „ჯგუფის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას. შესაბამისად შემუშავებულია

დოკუმენტი „ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების რისკების შეფასებისა და უწყვეტობის პოლიტიკა, პროცედურები და ბიზნესუწყვეტობის გეგმა“.

„ჯგუფის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „ჯგუფზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „ჯგუფს“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც სრულად იქნება ჩამოყალიბებული კომპეტენციის ჩარჩო.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ ფლობდა 2, 013 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

„ჯგუფის“ მინიმუმამდე აქვს დაყვანილი სავალუტო რისკი, ვინაიდან შემოსავლების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში და ასევე ბანკებიდან ნასესხები სახსრებიც იმავე ვალუტაშია. შესაბამისად სავალუტო რისკის დონე დაბალია და მართვადი.

5. **ჯგუფის სესხები:**

მიღებული სესხები მოხმარდა რამოდენიმე შენობის შესყიდვას და სარემონტო სამუშაოებს. 2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 8, 303 ათას ლარს.

6. ჯგუფი არ ფლობს **სხვა კომპანიების აქციებს** და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

7. ინფორმაცია **ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის** შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „შპს ევროპის უნივერსიტეტის“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდიტირებულ გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 10/03/2020 წ.

პრეზიდენტი

ლაშა კანდელაკიშვილი

შპს ევროპის უნივერსიტეტი (201 954 956)
გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

5. ჯგუფის სესხები:

მიღებული სესხები მოხმარდა რამოდენიმე შენობის შესყიდვას და სარემონტო სამუშაოებს. 2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 8 303 ათ. ლარს.

6. ჯგუფი არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახამისად გთხოვთ იხილოთ შპს „შპს ევროპის უნივერსიტეტის“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდიტირებულ გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 10/03/2020 წ.

პრეზიდენტი



ლამა კანდელაკიშვილი



მოსაზრება მართველობით ანგარიშგებაზე

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განეცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (ს/კ 201 954 956) შემდგომში როგორც „კვლევი“ მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

რადი ბაკაშვილი

აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-859169.

შპს აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“-ს სახელით, აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

10 მარტი, 2020 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

